საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები	15	20
პროფესიული თვისებები	10	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	69	100

სახელი, გვარი:

თარიღი: 26.04.2024წ.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ალექსანდრე კობაიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:
სახელი, გვარი: ალექსანდრე კობაიძე
ასაკი: 38 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, ბაკალავრი (შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტი 2008წ.), მაგისტრი (სდასუ 2017წ.)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 10 წელი

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით
კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, რეკომენდატორი გამოთქვამს მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევს კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, მიზანდასახულობას, ორატორულ უნარს, პუნქტუალურობასა და გულისხმიერებას. რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს (გადაწყვეტილების მიღებისათვის დიდი დროის დათმობას, ბრაზისა და ნეგატიური ემოციების დაფარვას, რაც რეკომენდატორს არ მიაჩნია მართებულად და ხელს უშლის სწორი კომუნიკაციის დამყარებაში). გამოკითხული რესპოდენტი კანდიდატის პირად თვისებებს იცნობს კარგად და პროფესიულ საქმიანობას იცნობს საშუალოდ. რესპოდენტის აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტი კანდიდატს აფასებს კარგად, ზოგიერთ კომპონენტს ძალიან კარგად.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხები, დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებები და ჯარიმები. უმრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. დეკლარაციაში არ არის მითითებული კანდიდატის სასესხო ვალდებულებების შესახებ, ასევე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში არსებული ინფორმაცია. კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 31 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები ვადაგადაცილებითაა გადახდილი საურავთან ერთად. სამ შემთხვევაში ჯარიმა გადაუხდელია. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა განმარტა, რომ როგორც ახსოვს ყველა ჯარიმა გადაიხადა.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მივიჩნევ, რომ კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს უარყოფითად.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

კანდიდატი არის პრინციპული, შესწევს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. გააჩნია ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე. 2014 წელს იყო რუსთავის მერობის კანდიდატი - პარტია სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა. კანდიდატი იყო ხალხის პარტიის თავმჯდომარე.

მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატი იყო კორექტული და თავდაჭერილი. შესწევს ემოციის მართვის უნარი. პროცესის მონაწილე მხარედ კანდიდატი მონაწილეობს 21 მიმდინარე საქმეში. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მონაცემებით, არ არსებობს შეფარდებული გაუქარწყლებელი სახდელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა (35[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

კანდიდატი სარგებლობას დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, ხასიათდება კარგად. კონკრეტული ფაქტი, რაც საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველს მომცემდა არ გამოვლენილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების შედეგების გათვალისწინებით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

დ)პროფესიული თვისებები;

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

ვ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

საჯარო მოსმენის პროცესში დასმულ კითხვებზე კანდიდატი ცდილობდა პასუხების სრულყოფილად გაცემას, თუმცა ხშირ შემთხვევაში იყო არათანმიმდევრული. ამასთან, აქცენტს აკეთებდა საკუთარი მიდგომის შემოთავაზებაზე, რომელიც არ იყო დასმული კითხვის შესატყვისი. კანდიდატს გააჩნია სათანადო ცოდნა სისხლის სამართლის მიმართულებით. ცალკეულ კითხვებზე, რომელიც იყო ზოგადი ხასიათის, კანდიდატს გაუჭირდა პასუხის გაცემა და ვერ განავითარა მსჯელობა. იყო კითხვები, რაც დარჩა პასუხგაუცემელი (მაგალითად, სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნულ მახასიათებელში მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - **15** ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება (35[1] მუხლის მე-10 პუნქტი).

კანდიდატს გააჩნია ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. წარმოდგენილი იქნა სტატია ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სადისერტაციო ნაშრომი - მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში. გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი.

საჯარო გამოსვლისას კანდიდატს სათანადოდ არ წარმოუჩენია საკუთარი შესაძლებლობები, თუმცა, მიმაჩნია, რომ მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს **15** ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილია სტატია და სადისერტაციო ნაშრომი. კანდიდატი მეტყველებს გამართულად, აზრს გადმოსცემს გასაგებად. გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი უნდა შეფასდეს **15** ქულით.

პროფესიული თვისებები

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35[1] მუხლის მე-12 პუნქტი).

როგორც აღინიშნა, რეკომენდატორი ხაზს უსვამს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობას. სისუსტედ აღიქვამს ბრაზისა და ნეგატიური ემოციების დაფარვას (რაც რეკომენდატორს არ მიაჩნია მართებულად, რადგან ხელს უშლის სწორი კომუნიკაციის დამყარებაში).

საჯარო მოსმენის ფარლებში გამოვლენილი უნარების გათვალისწინებით, ასევე წარმოდგენილ ნაშრომებზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს **10** ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (35[1] მუხლის მე-13 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი მოქმედი ადვოკატია (ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა). არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი. იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს **9** ქულით.

პროფესიული აქტივობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა (35[1] მუხლის მე-14 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში (დასახელებული არ არის).

როგორც აღინიშნა, კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატია ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი პროფესიული აქტივობის მახასიათებლით უნდა შეფასდეს **5** ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ ალექსანდრე კობაიძეს ვაფასებ **69** ქულით.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.04.2024 წ.